ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №411530

ნომერი: AR187477

თარიღი : 19.10.2012

გაცემის თარიღი : 30.10.2012

გაცნობის თარიღი : 30.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ბიწკინაშვილი პ/ნ 01004010757
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 13 ბ. 50

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "გევა ტრანსი" კოდი: 206330415

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის დამხმარე ნაგებობის (გასახდელების და ტუალეტების) მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ქინძმარაულის ქუჩა №15-ში, შპს "გევა ტრანსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №013/037) I კლასის დამხმარე ნაგებობის (გასახდელების და ტუალეტების) მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”გევა ტრანსი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.33.013.037, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882012954599 03.10.2012წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ქინძმარაულის ქუჩა №15-ში, შპს "გევა ტრანსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №013/037) I კლასის დამხმარე ნაგებობის (გასახდელების და ტუალეტების) მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან გასათვალისწინებელია:
- საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შემთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის, ფანჯრის, ფრამუგის, სამტრედეს და სზვა..., ასევე აივნის ერკერის და ტერასის მოწყობა, შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
- სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე-არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge